საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ფ. კ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.05.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №039/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ს. მ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 05 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა, ხოლო 12 ივნისს ზეპირ განხილვაში მიიღო მონაწილეობა ადვოკატმა ფ. კ.-მ ადვოკატ ს. მ.-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ს. მ. წარმოადგენს მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს და ამ საქმემდე ადვოკატ ს. მ.-ს არ იცნობდა. ადვოკატი მის კლიენტს გ. ყ. -ს და მისი ოჯახის წევრებს - შვილს ნ. ყ. -ს და გ. ყ. -ს დას არწმუნებდა, რომ მათი ადვოკატი ფ. კ. არის სუსტი

ადვოკატი, რომ არ იცის მათი საქმე, მათ უფლებებს ვერ დაიცავს და მისი მონაწილეობით, სასამართლოში საქმეს წააგებენ.

1.3 საჩივრის ავტორის პოზიციით, 2023 წლის 18 მარტს ადვოკატი ს. მ. მას დაუკავშირდა ტელეფონის ნორმიდან 511 16 42 44, თავი წარუდგინა, რომ იყო მოპასუხე მხარის წარმომადგენელი და უთითებდა, თუ როგორი შინაარსით უნდა დაეწერა სარჩელი; ასევე, ეუბნებოდა, რომ ეს იყო ოჯახური დავა და ადვოკატი ფ. კ. საქმეში არ უნდა ჩარეულიყო. ადვოკატი განმარტავს, რომ თავისი პროფესიული კვალიფიკაციიდან გამომდინარე, არ საჭიროებს იმის სწავლებას, თუ როგორ უნდა აწარმოოს კონკრეტული დავა და მისთვის კოლეგის მითითებები იყო შეურაცხმყოფელი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის შეურაცხმყოფელია ადვოკატ ს. მ.-ს მისდამი დამოკიდებულება; ადვოკატმა შელახა მისი, როგორც კოლეგის ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

2. საჩივრის ავტორის მოწმის ნ. ყ. -ს განმარტება:

2.1 საჩივრის ავტორის მოწმემ ნ. ყ. -მა 2023 წლის 19 ივნისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ფ. კ. არის მისი ადვოკატი. ადვოკატი ს. მ., რომელიც არის მეორე მხარის - მისი დის ადვოკატი, შეეცადა, რომ მას წარმოდგენა დაეკარგა ადვოკატ ფ. კ. -ზე. კონკრეტულად, ს. მ. შეეცადა, რომ მას ეჭვი შეპარვოდა ფ. კ.-ს კვალიფიკაციაში და პატიოსნებაში. ადვოკატმა განუმარტა, რომ ფ. კ. იყო მისი ძმაკაცის ნათესავი, თუმცა ამ ნაცნობობას არ გამოიყენებდა. მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატი ს. მ. ესაუბრებოდა ირონიული, დამცინავი ტონით, უთითებდა, რომ ფ. კ. არის მწერალი - დაკავებულია ლექსების წერით, გამოიყენა ტერმინი „პოეტობსო“. მოწმის შთაბეჭდილებით, ადვოკატი ს. მ. ცდილობდა მის თვალში ადვოკატი ფ. კ. „დაბლა დაწეულიყო“ და უარი ეთქვა მის მომსახურებაზე, თუმცა ს. მ.-მ ამ მიზანს ვერ მიაღწია.

2.2 მოწმის ინფორმაციით, ადვოკატი ს. მ. ადვოკატ ფ. კ.-ს არაკვალიფიციურობაზე იმ ფაქტის გამო მიუთითებდა, რომ ის წერს ლექსებს. და ასევე ს. მ.-მ მას უთხრა ფრაზა: „შეგეძლო უფრო უკეთესი ადვოკატი მოგენახა“.

3. ადვოკატის პოზიცია:

2.3 2023 წლის 16 მაისს ადვოკატმა ს. მ.-მ ეთიკის კომისიას წარმოუდგინა წერილობითი განმარტება, ხოლო 2023 წლის 26 ივნისს ზეპირ სხდომაში მიიღო მონაწილეობა. ადვოკატმა მიუთითა, რომ სადავო საქმეში მისი მარწმუნებელი არის მისივე ოჯახის წევრი, რომლის თხოვნის საფუძველზეც ის დაუკავშირდა ადვოკატ ფ. კ.-ს 2023 წლის 18 მარტს. კომუნიკაცია, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით 1 წუთამდე, ეხებოდა დავის მორიგებით დასრულების შესაძლებლობას. ადვოკატი განმარტავს, რომ კომუნიკაცია წარიმართა კონსტრუქციულად და კოლეგისადმი პატივისცემით მოპყრობის პრინციპის დაცვით.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მას კოლეგიასთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია და ამის მიზანი არ ჰქონია. პირიქით, ყველა კოლეგას სცემს პატივს და ასევე მისთვის პატივსაცემია ის ფაქტი, რომ ფ. კ. ადვოკატთან ერთად ასევე არის პოეტი.

2.5 ადვოკატი განმარტავს, რომ ფ. კ.-ს კლიენტისათვის არ უთქვამს, რომ ფ. კ. არის სუსტი ადვოკატი და რომ მისი წარმომადგენლობით საქმეს სასამართლოში წააგებდნენ. ერთ-ერთი შეხვედრის დროს მათ თავად ჰკითხეს, ხომ არ იცნობდა ადვოკატ ფ. კ.-ს და მან განუმარტა, რომ ამ სახელით და გვარით ადვოკატს არავის იცნობდა.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორის მოწმე არის მიკერძოებული.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი ს. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

4.2 ადვოკატმა ფ. კ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2023 წლის 5 მაისს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

5. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ს. მ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ს. მ.-მ კლიენტებთან ის მოიხსენია როგორც სუსტი და არაპროფესიონალი ადვოკატი; სატელეფონო საუბრისას კი პირადად მას მიუთითა, თუ როგორ უნდა დაეწერა სარჩელი; ს. მ. ესაუბრებოდა ირონიული და დამცინავი ტონით, ის მოიქცა არაკოლეგიალურად და შეულახა პროფესიული ღირსება.

6.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ს. მ.-ს მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცნეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები; ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7, მუხლი 10.1).

6.3 ადვოკატს აქვს განსაკუთრებული ვალდებულებები კოლეგების მიმართ, მათ შორის არ შელახოს მათი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია. ამასთან, ადვოკატის კოლეგიალობის დაცვის პრინციპი შეიძლება მოვიდეს კონკურენციაში ადვოკატის სხვა პროფესიულ ვალდებულებებთან, მათ შორის კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპთან ან სასამართლოს მიმართ ვალდებულებებთან, ასევე იმ ძირითად უფლებებთან, რომლითაც ადვოკატი, როგორც

მოქალაქე, სარგებლობს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია კონკურენცია არსებობდეს კოლეგიალობის პრინციპსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის.

6.4 საქართველოს კონსტიტუციის მე-19.1 მუხლის მიხედვით, „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის...თავისუფლება“, ხოლო 24.1 მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“. აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და მე-19.3 და 24.4 მუხლების მიხედვით შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს. შესაბამისად, ადვოკატებს უფლება აქვთ ისარგებლონ ამ უფლებით და გამოთქვან აზრი, თუმცა მათ უნდა დაიცვან სხვათა ღირსება და არ შეზღუდონ სხვათა უფლებები. ადვოკატის როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან .....ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად.“

6.5 „ადვოკატის პროფესია საკმაოდ რთული და კომპლექსურია, რადგან წარმოადგენს საზოგადოების დიდ ინტერესს. ადამიანი, რომელიც ირჩევს ამ პროფესიას მზად უნდა იყოს ისმინოს, მისი პიროვნებისა და პროფესიონალიზმის მისამართით გამოთქმული კრიტიკა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა არც თუ ისე სასიამოვნო მოსასმენი იყოს, მაგრამ ეს წარმოადგენს იურისტის პროფესიის განუყოფელ ნაწილს... საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში მას არ მიაყენოს შეურაცხყოფა“ (ეთიკის კომისიის 20.08.2012 წლის გადაწყვეტილება, საქმე N100/12).

6.6 ფ. კ. სადავოდ ხდის ადვოკატ ს. მ.-ს მიერ მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ორ ფაქტს და მიუთითებს, რომ ადვოკატმა მის კლიენტსა და კლიენტის ოჯახის წევრებს განუცხადა, რომ მათი ადვოკატი, ფ. კ. იყო პროფესიულად სუსტი და მისი საქმიანობის შედეგად საქმეს ვერ მოიგებდნენ; ასევე, ადვოკატმა ს. მ.-მ ფ. კ.-ს კვალიფიკაციაში ეჭვი შეიტანა მათი პირადი საუბრისას, რაც გამოიხატა იმაში, რომ ასწავლიდა როგორ შეედგინა იურიდიული დოკუმენტი. ადვოკატი ს. მ. ორივე კომუნიკაციას ადასტურებს, თუმცა განმარტავს, რომ მას კოლეგისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია, ამის მიზანი არ ჰქონია და ყველა კოლეგისადმი განმსჭვალულია პატივისცემით.

6.7 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის

მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

6.8 ეთიკის კომისია იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით „მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს“. ამასთან, სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კოლეგია განმარტავს, რომ სადავო ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს, რომელმაც კოლეგიას მოაწოდა მტკიცებულება - მოწმის პოზიცია. საჩივრის ავტორის მოწმე, მისივე კლიენტი ნ. ყ. ადასტურებს, რომ ჰქონდა ადვოკატ ს. მ.-სთან კომუნიკაცია, მოწმემ ვერ გაიხსენა ადვოკატ ს. მ.-ს მიერ გამოყენებული ყველა ტერმინი და ისაუბრა იმ შთაბეჭდილებაზე, რაც მას დარჩა ადვოკატთან კომუნიკაციის შედეგად. მოწმე უთითებს, რომ ადვოკატი ს. მ. ადვოკატ ფ. კ.-ს მისამართით საუბრობდა ირონიული ტონით, რადგან ის ყურადღებას ამახვილებდა, რომ ფ. კ. „პოეტობდა“ და ამით ცდილობდა მის კვალიფიკაციაში ეჭვის შეტანას, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. მოწმე ადვოკატ ს. მ.-ს მიერ კოლეგის მისამართით შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას არ ადასტურებს.

6.9 კოლეგიის შეფასებით, მოწმის პოზიციით დასტურდება, რომ ადვოკატმა ს. მ.-მ კოლეგის, ადვოკატ ფ. კ.-ს მიმართ გამოიყენა ტერმინი „პოეტობს“. თუმცა, ადვოკატმა ს. მ.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დაადასტურა პატივისცემა იმ ფაქტის მიმართ, რომ მისი კოლეგა ასევე არის პოეტიც. ამასთან, აღნიშნული ტერმინი - „პოეტობს“ თავისი შინაარსით არ არის შეურაცხმყოფელი. კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატმა კოლეგის შესახებ უნდა ისაუბროს პატივისცემით, და არა ირონიულად, თუმცა იმ ფაქტის დასადგენად, რომ ადვოკატი ს. მ. კოლეგის შესახებ საუბრობდა ირონიულად, დამცინავად და ცინიკურად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება - მისივე კლიენტის სუბიექტური აღქმა, საკმარისი არ არის. ამასთან, ორ ადვოკატს შორის განხორციელებული პირადი კომუნიკაციისას ადვოკატ ს. მ.-ს მიერ კოლეგისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე არ დასტურდება. ის გარემოება, რომ ერთმა ადვოკატმა მეორეს მიუთითოს, თუ როგორ უნდა შეადგინოს იურიდიული დოკუმენტი, შესაძლოა სუბიექტურად იყოს არასასიამოვნო, მით უფრო, მრავალწლიანი პროფესიული საქმიანობის ფონზე, თუმცა არ მიიჩნევა შეურაცხყმოფელად და დაცულია აზრის გამოხატვის თავისუფლებით. შესაბამისად, ადვოკატ ს. მ.-ს არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 და 10.1 მუხლით დადგენილი კოლეგის პატივისცემის ვალდებულება.

6.10 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №039/23 ადვოკატ ს. მ.-ს /სიითი №/ მიმართ, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/